

# საქართველოს

# რეპუბლიკის



წელი 10 მან.

მთავრობის

დასაბუთების 4 1920 წ.

### საქართველოს მთავრობის განცხადება

მ.წ. 1002

შაბათს 4 დეკემბერს ოპერა მუშებისათვის

## „მარგალიტის მამულები“

კვირას 5 დეკემბერს დილას, ბალეტის მორდინისა „კოპელია“, საღამოს „ქეთო და კოტე“, ორშაბათს, 6 დეკემბერს სიმფონიური კონცერტი ბოროვისკის და ბელოუსოვის მონაწილეობით, სამშაბათს, 7 დეკემბერს ქართული ენაზე ოპერა „ლალატი“. დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

## ცენტრალური საგაჭრო სამრეწველო

### ბანკი

ამით ახსნადეს,

რომ 6 დეკემბერს დილის 12 საათზე

დასრულდა

## საჯარო ვაჭრობა

შიკამდ მიღებულ საქონელზე შებენი სესხებით:

№№ 141, 184, 198, 223, 227, 204, 256, 136, 268, 248, 131, 115, 220.

ცენტრობანკის გამგეობა.

1017

## ცენტრობანკი

(საქართველოს სანატორიული საგაჭრო-სამრეწველო ბანკი)

თავისუფლების მოედანი № 3.

თანახვად ახსოვნით საგაჭრო პირობის 28 ნომბრის დადგენილების და

ბატ. ფინანსთა მინისტრის ნებართვისა

### გამოცხადებულია

ხელის მოკერა ცენტრობანკის მიერ მეორე გამოცემის აქციებისა რიცხვით კიდევ 30.000 აქცია.

### შებენის პირობებით:

1. თითო აქციაზედ შემოტანილ უნდა იქნას წინანდელი ღირებულება—1000 მან. და საორგანიზაციო ხარჯებისა და სარეზერვო თანხისათვის კიდევ 200 მან., სულ—1200 მან.
2. ძველი აქციის პატრონს ნება ეძლევა თითო ძველი აქციაზედ მიიღოს თითო ახალი აქცია. ამ უფლების გამოცემა ან გაყიდვა აკრძალულია.
3. ფულები უკლებლივ და ერთიანად უნდა შემოტანილ იქნას პირდაპირ ცენტრობანკში, ან მის განყოფილებებში ბათუმში, კონსტანტინოპოლში და ბორჯომში 15 ამა დეკემბრის დღის ორ საათამდის.
4. ვინც ამ ვადას გაუშვებს ის ჰკარგავს უფლებას ახალი აქციების შეძენის უპირატესობისა.
5. 16 დეკემბრიდან ღარიბილი აქციები გამგეობის მიერ გაიყიდება გარეშე პირებზედ.
6. მეორე გამოცემის აქციებს ახ 1920 წლის დივიდენდში წილი არ უდევს.

ცენტრობანკის გამგეობა.

1017

## ოფურბეთის

სამაზრო ერობის გამგეობა იწვევს

მ.წ. დეკემბრის 5-ს.

## საერთო ურთიერთობას

განსახილველია: გამგეობის მოხსენება, სარევიზიო კომისიის მოხსენება, საერობო არჩევნები, სასურსათო ბელღების დაარსება, უძრავ ქონებათა ჩამორთმევა; სავალდებულო დადგენილებები და სხვა.

ერობის გამგეობა.

1005

## აქციონერულ საზოგადოების „კახური ღვინო-ს“

### გამგეობა იწვევს გ.გ. ახსოვნით

მიმდინარე წლის, ქრისტეშობისთვის 26-ს, დილის 12 საათზედ (საზოგადოების ბინა, რუსთაველის პრ. № 40).

არა ჩვეულობრივ კრებაზე.

კრების წესრიგი: 1, გამგეობისგან გასულ წევრების მავიჯად სხვა პირების და მათი კანდიდატების არჩევა და 2, მორიგი საქითება. იმ შემთხვევაში, თუ მოწვეულ კრებას კანონიერი 1/2 აქციონერთა რიცხვი, ან მათი წარმომადგენელი არ დაესწრნენ, მეორე კრება დაინიშნება იმავე შენობაში 24 საათის შემდეგ, ე. ი. ორშაბათს, ქრისტეშობისთვის 27-ს, დილის 12 საათზედ, რომელი კრებაც კრებაზედ დასწრებულ აქციონერთა რიცხვის მიუხედავად კანონიერად ჩითვლება.

4067

### ოფიციალური განცხადება.

## განკარგებულია

გზააკეცილების და წყლით სავალ გზების სამმართველოს უფროსისა.

26 ნომბერი, 1920 წ., № 381.

დათხოვნილ იქნას: სამსახურიდან და სრულიად თანამდებობიდან ბათუმის დისტანციის არდავანის გარაქის უფროსი ინჟინერი მარქაროვი თანახმად მისი თხოვნისა.

29 ნომბერი, 1920 წ., № 382.

ამით ცხადდება საყოველთაო საყოფად-ღებობა ბ. გზათა დეპარტამენტის დირექტორის დეპუტა ა. წ. 27 ნომბრის თარიღით № 136: „მივგზავნებთ რა სამსახურის საქმეებზედ ტყიბულს და ზეგდის ჩემი მოვალეობის აღსრულებას ვაფალებ სახანო რკინის გზების უფროსს ინჟინერ კანდელაკს. გზათა დირექტორი ქიქნაძე.

№ 383.

დანიშნულ იქნას: ბათუმის დისტანციაში ტექნიკოსის მოვალეობის აღმასრულებელი ინჟინერი-ტექნოლოგი სერგო ნიკოლოზის ძე გრაბოვსკი.

№ 385.

სამმართველოს მექანიკურ ლაბორატორიის გამგის მოვალეობის ასრულება დროებით ევალება სამთო ინჟინერ გეოლოგ გამოშკლევს პავლე ალექსის ძე შილინკოვს 9.000 მანეთი ჯამაგირის დანიშნით სამმართველოს სამუშაო კრედიტიდან ა. წ. 1 დეკემბრიდან.

№ 386.

ინიშნება: სამმართველოს განსაკუთრებულ სა-მუშაოების მწარმოებლის მოვალეობის დროებით აღმასრულებლად გზებზე: ტფილისის, სავანლუგო, სანდარი, ევატერანოფელი, საარტი, ვარანცოვკა-ინჟინერი გ. ოვაქიმოვი, ა. წ. 29 ნომბრიდან 8.000 მან. თვიური ჯამაგირით.

№ 387.

ინიშნება ყოფილი: პირველი დისტანციის უფროსი ინჟინერი ჩხეიძე სამმართველოს ტექნიკურ განყოფილების განკარგულებაში ინჟინერად 6850 მან. თვიური ჯამაგირით ა. წ. გიორგობისთვიდან.

30 ნომბერი, 1920 წ., № 388.

მტკიცდება: მე-7 დისტანციის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად განკარგულება თვითმავალ „ბორს“ ზე გრიგოლ სანებლადეს შოფერად ჩარიცხვის შესახებ ა. წ. 3 ოქტომბრიდან.

№ 389.

განთავისუფლებულ იქნას: სრულიად სამსახურიდან საანგარიშო განყოფილების კონტორის მოხელის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი კალანდია ა. წ. 15 დეკემბრიდან.

1 დეკემბერი, 1920., № 391.

გათანასწორებულ იქნას: სამმართველოს მორიგ მოხელის მართა ემუხვარის ჯამაგირი კანტორის მოხელის ჯამაგირთან ა. წ. 1-ლ ნომბრიდან.

სამმართველოს უფროსი, ინჟინერი ნ. კარიბთელი.

## სამმართველოს ხელს!

ამ ექვსი წლის წინად ამტყდარი დიდი ომი, მიუხედავად მრავალ საზავო ხელშეკრულებათა დადებისა, ჯერ კიდევ არ დაბოლოვებულა მთლად. ამასთანავე დამარცხებულ ქვეყნებში დაწყებული რევოლუციური მოძრაობა ზოგან განსაკუთრებით რუსეთში სამოქალაქო ომით დამთავრდა, რაიც კიდევ უფრო აფერხებს საერთაშორისო მშვიდობიანობის დამყარებას.

ეს მუდმივი საერთაშორისო მოუსვენრობა და გართულება ახდენს თავის უარყოფითი გავლენას ჩვენს თავისუფალ სამშობლოზედაც; ცეცხლის ალი არამც თუ არ შორდება მას, არამედ უახლოვდება კიდევ. არ არის სრულიად მოულოდნელი, რომ დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობა ქიშპობამ და ინტერესთა წინააღმდეგობამ თვით ჩვენი ტერიტორია გახადოს ჩვენდა დამოუკიდებლად, სამხედრო მოქმედების ასპარეზად.

დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა დამფუძნებელი კრება და მთავრობა მტკიცედ იცავდნ თავიდანვე საქვეყნოდ აღიარებულ ნეიტრალიტეტის პრინციპს; მათ ერთხელაც არ უღალატნიათ მისთვის, ერთხელაც არ უფიქრნიათ მეზობელ სახელმწიფოთა საქმეში ჩარევა ან კიდევ მათი უფლებების და ტერიტორიულ ხელუხლებლობის შელახვა. ასეთს ნაბიჯს შეუძლებლად ჰხდის თვით ჩვენი სახელმწიფოს უაღრესად დემოკრატიული სულისკვეთება.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი ხალხი არა ერთხელ გახდა იძულებული აესხა ფარ-ხმალი მომხდომ მტრის მოსაგერებლად; არა ერთხელ მოვიდინა ჩვენი მამაცი ჯარი და გვარდია მხსნელად და მცველად დედა სამშობლოს, მის წმინდათაწმინდას რევოლუციური მონაპოვართ, მის დიდებას და პატიოსნებას.

დღესაც იგივე წამი ახლოვდება ქართველ ერისათვის, იგივე ომის აჩრდილი ჩნდება მის წინ. ქველ ფაშის ჯარმა, რომელმაც შეესია სომხეთს, შესაძლოა



ჩვენს ენა იბრუნოს პირი. ჩვენ გვაქვს მწარე გამოცდილება, ამ სამი წლის წინათ მიღებული, როცა ოსმალო პირისპირ ტყილად გვებასებოდა, ხოლო ზურგში მახვილსა გვცემდა, როცა მან ხელიდან გამოგვტაცა ჩვენი სისხლით და ოფლით მოაწყული ბათობი.

მართალია, საქართველო იგი არ არის დღეს, რაც 1918 წ. იყო მან არამც თუ დამსხვრია მონობის ბორკილები, არამედ შეინარჩუნა ბოლომდის დამოუკიდებლობა და თავისუფლება; მან დასდო ხელშეკრულება რუსეთთან, რომლის ძალით უკანასკნელმა იცნო მისი უღაო უფლება, როგორც ბათობზე, ისე მთელს ეხლანდელ მის ტერიტორიაზე; ის უკვე ჩაება საერთაშორისო ფერხულში, რასაც ხელს უწყობს მისი გეოგრაფიული მდებარეობაც...

მაგრამ, სანამ არ შეუქმნიათ ნამდვილი გარანტია მსოფლიო მშვიდობიანობისათვის, სანამ ჩვენს მეზობლად არ დამკვიდრებულა ნორმალური მდგომარეობა, საქართველო არ არის და არც შეიძლება იყოს დაზღვეული გარეშე ხიფათისაგან.

**ამიტომ თავდაცვის საქმე არის და ჯერ კიდევ დიდხანს იქნება ჩვენი სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავი საგანი.**

დამფუძნებელი კრების და მთავრობის დაწინაურება არის იხაროს ყოველ დღე თავდაცვის საქმის ჯეროვნად მოწყობაზე, მაგრამ ეს არ კმარა.

საქარა თვით ხალხმაც გამოიჩინოს დროის შესაფერი სიფხიზოე და გამჭვირვება, მანაც ამოქექლოს მთელი თავისი ცოცხალი ძალები, მანაც დაანავოს შტურბა და მოყვარეს, საქმით, რომ ის არ იშურებს არასფერს თავისუფალ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ერთი ასეთი საქმე არის რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის შექმნა, რომლის თავდარიგს შეუდგა მთავარი გამგეობა, შემდგარი ყველა ჩვენში მომქმედ პოლიტიკურ პარტიების, ერობათა, ქალაქთა, პროფესიულ და კოაპერატიულ კავშირთა ცენტრალურ დაწესებულებათა, დედა ქალაქის გამგეობის და ვაჭრობა-შეწვევლობის პალატის წარმომადგენელთაგან.

მთავარ გამგეობის შემადგენლობა თავის თავად ცხადყოფს, რომ საქმე, რომელიც უკისრია განგეობას არის უაღრესად ეროვნული და უღაო. როცა კითხვა ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის ყოფნა არ ყოფნას ეხება ქართველი ერი, საქართველოს ხალხი ცოცხალი ორგანიზმია, ალტყინებული ერთი გრძობით და გამსჭვალული შეუდრეკელი ნებისყოფით.

აქედან, თავდაცვის ფონდის შექმნაში უნდა მიიღოს მონაწილეობა ყველამ: **ჯიღმა და პატარამ, ქალმა და კაცმა, მდიდარმა და ღარიბმა.**

თავდაცვის ფონდი უნდა შესდგეს **ხორბლეულობისა და სხვა სახოფლო ნაწარმოებისა, ნივთეულობისა და ფულისაგან.**

ყველამ თავის ხელობის და სოციალურ მდგომარეობის შესაფერისი წვლილი უნდა გაიღოს: გლეხმა პური, სიმინდი, ქერი, მარცული და სხ., მუშამ და მოსამსახურემ თავის შრომის ხელფასის ერთი ნაწილი, მდიდარმა ნივთეულობა და ფული. განსაკუთრებული ქალების მოვალეობა. ისინი დროს არ იქნებოდნენ სამშობლოსათვის წამებულ მათი წინაპრებისა, რომ დეშურათ მათ მერ **სამკაულად** ხმარებულდ ერთი რომელიმე ძვირფასი ნივთი საერთო სამსხვერპლოზე მისატანად.

**საქართველოს ხალხი!**

გახსოვდეს, რომ შენ სდგებარ შენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საბოლოო ჩამოყალიბების უკანასკნელ საფეხურზე; კიდევ ერთი ნაბიჯი და შენ შეხვალ თავისუფალ ერთა ოჯახში სწორედ ბიან წევრად. შენ **საგმიროს საქმეები** იპყრობს ევროპის სახელმწიფოთა ყურადღებას, საერთაშორისო დემოკრატია აქტიურად თანაუგრძნობს შენს დამოუკიდებელ არსებობას. სამი წლის შენი ქაანწყევტა, სასტაკი ბრძოლა და უზომო მსხვერპლი საცაა შენის სრულ გამარჯვებით დაგვირგვინდება.

შენ ყოველთვის ეყრდნობი შენს მაჯას, შენს მახვილ გონებას, შენს განჭრილობას. დემოკრატია, მშრომელი მასსა ვერ დაეყრდნობა სხვის ამედებს, და ის ხომ შენი პირშოა—**მებარჩხატრე.**

ერის უფლება გულისხმობს ერის **მოვალეობასაც**,— და ეს კი გიკარნახებს შენ იქონიო მუდმივი მზრუნველობა შენი თავისუფლების მთელი შენი არსებობით დაცვისათვის. შენ ყოველ წუთს მზად უნდა იყო მყისვე გასცე შესაფერი პასუხი ყოველს შენს კარზე მომდგარ საერთაშორისო გართულებას.

**თავდაცვის ფონდი მკვეთრი იარაღია შენს ხელში.** შენ არას დროს არ დაუშვებ, რომ შენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა გარეშე ტლანქმა ძალამ შეხტვეშ გასთელოს, არც იმას დაუშვებ, რომ შენი ჯარი და გვარდა, როცა ისინი სიცოცხლეს არ იშურებენ შენი ბედნიერებისათვის. მშვიდი, შიშველი და წყლულ-შეუხეველი დარჩეს.

სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ საქართველოს ხალხი **განუჩვევლად** ეროვნებისა, საწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა, სქესისა და წლოვანებისა **პირნათლათ** შეასრულებს თავის წმინდა მოვალეობას ქვეყნისა და შთამომავლობის წინაშე, — რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობა ამიერიდან იწყებს თავის მოქმედებას.

მთავარი გამგეობა გახსნის ადგილობრივ განყოფილებებს მთელს რესპუბლიკაში, დაუზავნის მათ ინსტრუქციებს\*) გაუწევს მათს მუშაობას, ხელმძღვანელობას და კონტროლს.

**მისამართი:** ფოსტით—ტფილისი, სასახლე, თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობა; ტელეგრაფით—თავდაცვის ფონდი.  
რეპუბლიკის თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობის თავმჯდომარე **აკაკი ჩხენკელი.**

საქართველოს სოციალ-დემოკრატული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ანხანაგი **სილ ჯიბლაძე.**

საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ლახსიშვილი.**

საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **ლევო შენგელაია.**

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატული პარტიის ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარე **სპირიდონ კეღია.**

საქართველოს მიწის მესაკუთრეთა ეროვნულ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **გრიგოლ ვეშაპელი.**

სომეხთა სარევოლიუციო პარტია დაშნაკუთიუნის საქართველოს მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე **გი რან ავეცი იანი.**

საქართველოს ქალაქთა კავშირის თავმჯდომარე **ნიკო ელივაძე.**

საქართველოს ერობათა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე **ისიდორე სტურუა.**

საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **სერო დევიდარიანი.**

საქართველოს კოაპერატივთა კავშირის თავმჯდომარეს **მაგიერ ე. დარჩია.** ტფილისის ქალაქს გამგეობის თავმჯდომარე **ბენია ჩხიკვიშვილი.** საჯარო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე **დიმიტრი აფხაზი.** ფონდის დახმარე კომიტეტის თავმჯდომარე **სერგო ფორგოლიანი.**

\*) ინსტრუქცია დაბეჭდა ჩვენი გაზეთის 274 №-ში.

**მთავრობის თავმჯდომარე ნ. კორდანიას სიტყვა.**

**დამფუძნებელი კრება, 1-ლ დეკემბრის სხდომა.**

მოქალაქენო! წინა სხდომაზე საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ თქვენ მოგახსენათ კომისიის საერთო მოსაზრება კონსტიტუციის პროექტის შესახებ, ეხლა მე მურს მოგახსენოთ ს. დ. პარტიის და ფრაქციის მოსაზრებანი და საერთო შეხედულება ამავე საკითხზე.

პირველად ყოვლისა ჩვენ უნდა დავსვათ ერთი კითხვა. რა არის კონსტიტუცია საზოგადოთ და მერე როგორი უნდა იყოს ის ჩვენში, ჩვენი პირობების მხედვით? თქვენ იცით, რომ ჩვეულებრივი კონსტიტუცია არის ერთნაირი ძირითადი უფლებები, ნორმა, რომლის ფარგალში ყოველი სახელმწიფო მუშაობს და მისი ორგანოები მოღვაწეობენ. ის არის, ასე ვთქვათ, ერთნაირი საერთო დიპლომი, სახალხო ხარატი, რომელზედაც არის დაბჯენილი მთელი სახელმწიფოს წესწყობილება და თითველმა მოქალაქემ იცის, თუ რა უფლებანი აქვს მას ამ ხარატის მხედვით და რა მოვალეობანი აწევს მას სახელმწიფოს მიმართ. ეს, ასე ვთქვათ, ერთნაირი წესდებაა, წესდება ისეთი ხასიათის, როგორცაა მაგალითად რომელიმე საზოგადოების წესდება. ამ წესდების თანახმად მუშაობს საზოგადოება, სავაჭრო იქნება ის, საქველმოქმედო თუ სხვ. ასეთი წესდებაა ეს კონსტიტუცია თითველ სახელმწიფოსათვის. აი ასეთი წესდება, ძირითადი ნორმა, ასეთი პოლიტიკური წესდება არსებობს ყველა თანამედროვე სახელმწიფოებში და ეს სახელმწიფოები ამის მიხედვით თავიანთ სახელებში მუშაობენ. უნდა ვსთქვა, რომ არს ერთი გამოჩაქისი, სადაც არის დიდი საკონსტიტუციო უფლებები, მაგრამ არ არის კონსტიტუცია, როგორც მთელი, ჩამოყალიბებული. ეს არის ინგლისი. ინგლისის პარლამენტი არის ერთად ერთი პარლამენტი, რომელსაც აქვს უზენაესი უფლებები. არც ერთ სხვა ქვეყნის პარლამენტი ასეთი უფლებები არა აქვს. ინგლისის პარლამენტი კი აქვს ეს შეუბოძავი უფლებები. მას შეუძლია ყოველ დღე სკვალოს კონსტიტუციონალური აქტები, გამოცეს კანონები და არავითარი ვანსხვავება არ პოვოს ძირითად და არა ძირითად კანონებს შორის. ყოველგვარ სხვა სახელმწიფოს, იქნება ის მონარქიული, თუ რესპუბლიკური, პარლამენტი აქვს შეზღუდული უფლებები. ის ძირითადი დებულებები, რომელიც არის შემოუშვებული სამუდამო შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ არა ჩვეულებრივი, პარლამენტარული გზით, არამედ ამისთვის მიღებული არა ჩვეულებრივი გზა. არის მეორე ვანსხვავება. ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი საკუთარი კონსტიტუცია და ერთი სახელმწიფოს კონსტიტუცია არ გავს მეორე სახელმწიფოს კონსტიტუციას. მართალია, ძირითადი დებულებები ერთნაირია, მაგრამ მათი ფორმები და ცხოვრებაში გატარება სხვა და სხვა ნაირია და ამიტომ ვამბობ, რომ ყველა სახელმწიფოს თავისი საკუთარი კონსტიტუცია აქვს-მეთქი, უნდა ითქვას, რომ კონსტიტუცია არავითარ ახალ უფლებას არ ქმნის, ის მხოლოდ აღბეჭდვს იმას, რაც უკვე არის ცხოვრებაში, ე. ი. მისი ძირს, საძირკველი, რომელზედაც უნდა იქნას აგებული წყრილობითი კონსტიტუცია, არის ამა თუ იმ ქვეყნის ფაქტიური კონსტიტუცია. რანაირია ამა თუ იმ საზოგადოებაში ფაქტიური ძალთა განწყობილება, ეს უნდა სწორედ კონსტიტუციაში იყოს აღბეჭდილი. ამნაირად ცხოვრებაც სინამდვილეა საესებით, ერთიან დ უნდა ეთანხმებოდეს ამ დაწერილ სინამდვილეს. ე. ი. ამ ორ წყებას შორის უნდა იყოს სრული თანხმობა. თუ ეს ასე არ არის, თუ ფაქტიური კონსტიტუცია ერთია, დაწერილი კი—მეორე, აქ, რასაკვირველია, წერილობითი კონსტიტუცია იძულებული იქნება ადგილი დაუთმოს ფაქტიურს და ამ ორ წყებას შორის მიხედება სრული კოლიზია და ამ ბრძოლაში, ექვს გარეშეა გაიმარჯვებს ფაქტიური კონსტიტუცია. მხოლოდ იმ კონსტიტუციას შეუძლია არსებობა, რომელიც ხატავს ხალხის შინაგან ძალთა განწყობილებას. რასაკვირველია, კონსტიტუციის ისტორიაში ყოფილა და დღესაც არის ისეთი კონსტიტუცია, რომელიც არსებობენ არა შინაგან ძალთა განწყობილებით, არა საზოგადოებრივი კალიბრით, არამედ ხიშტით, იარაღის შიშით. ამის მაგალითს გვიძლევს ჩვენ საბჭოთა რუსეთის კონსტიტუცია. რასაკვირველია, ბალსევიების კონსტიტუცია დღეს არსებობს

იარაღს ქვეშ, და თუ ეს ხიშტი მოიხსნა, მაშინ ის ერთ საათსაც ვერ დარჩება და დარღვეულ იქნება კონსტიტუცია, ე. ი. მოხდება მეორე რევოლუცია. კლასიკური მაგალითი კონსტიტუციების ხშირი ცვლილებების არის საფრანგეთი. საფრანგეთში კონსტიტუცია ხშირ-ხშირად იმეტომ ცვლებოდა, რომ ის არ ხატავდა ფაქტიურ სინამდვილეს. იქ მრავალი კონსტიტუცია შეიცვალა და მხოლოდ 1871 წელს დამტკიცდა და საფუძველი ჩაეყარა მესამე რესპუბლიკას. ეს ხდებოდა იმეტომ, რომ იქ, საფრანგეთში, კონსტიტუცია ვერ აღბეჭდვდა ცხოვრების სინამდვილეს. აქედან თქვენ ხედავთ, რომ ეს მეტად ძნელი და რთული კითხვაა. ეს კითხვა არ არის ისე ადვილი, როგორც საზოგადოებაში ბევრს წარმოუდგენია. შეიძლება მშვენიერი კონსტიტუცია დაიწეროს ძალაღებზე, მაგრამ, როგორც შევა ცხოვრებაში მაშინვე გამოჩნდება, რომ ამ კონსტიტუციის და ცხოვრების შორის არაფერი საერთო არ არის და დიწყება უფლებრივი ნიადაგზე ბრძოლა. კონსტიტუცია ისეთივეა სახელმწიფოსათვის, როგორც ტანისამოსია ადამიანისათვის. თუ ტანისამოსი ადამიანის ტანზე არ არის გემოწერილი, თავის-თავად ცხადია, მისი მტარებელი იძულებული იქნება ის გაიხადოს და ახალი მკერვალი ეძიოს, ისეთი მკერვალი, რომელიც მის ტანზე გამოსჭირს ტანისამოსს. საფრანგეთი 70 წლის განმავლობაში ეძებდა ისეთ მკერვალს, რომელიც გამოუჭრიდა მას შესაფერ კონსტიტუციას.

და დღეს, როდესაც ჩვენ ვიღებთ ჩვენი ქვეყნისათვის კონსტიტუციას, პირველად ყოვლისა უნდა გამოვარკვიოთ საქართველოს ფაქტიური კონსტიტუცია, შეინაგან ძალთა განწყობილება და შემდეგ ეს ძალთა განწყობა უნდა აღბეჭდვოდ ჩვენს კონსტიტუციაში. მაშ, ვითხვით, რანაირია ჩვენში ეს ძალთა განწყობილება? დავწყობ მალლიდან, მწვერვლიდან. ჩვენში ამ უკანასკნელ 100 წლის განმავლობაში ბატონობდა რუსეთის ტახტი, მაგრამ ამ ტახტს არ ქონდა ჩვენს ხალხთან ორგანიული კავშირი, ე. ი. ის არ იყო ჩვენი ნაციონალური ტახტი და არ იყო გამოსული ჩვენი ხალხის ისტორიიდან, ტფილიდან. ამიტომ, როდესაც დაიმსხვრა ეს ტახტი, არ შეაძლებოდა ამ ტახტით შექმნილ მონარქიულ ტრადიციების დაბრუნებისათვის ეზრუნა ჩვენს ხალხს. ჩვენ გვქონდა ჩვენი ნაციონალური სამეფო ტახტი, მაგრამ ის ასი წლის წინათ დაიოღვა. ამ ნაციონალურ ტახტს ხალხზე ისეთი გავლენა არ ქონია, რომ მას მოეთხოვა მისი აღდგენა. მაშასადამე ის მონარქიული ტრადიცია, ის ფსიქიკა, რომელიც იქნება ყოველ სახელმწიფოში, ჩვენში არ არის. მაგ., აიღეთ თუ გინდ საბერძნეთი. იმ მეფეს, რომელითაც უკმაყოფილო იყო გუმნ საფერძნეთის ხალხი, იგივე ხალხი ეუბნება მობრძნი და იბატონო. აი მაგალითი იმასა, თუ რას ნიშნავს ნაციონალური ტახტის ორგანიული კავშირი ხალხთან. შემდეგ უნდა ვსთქვა, რომ ის საზოგადოებრივი ნაწილის, ის წოდება, რომელიც აძლევს მონარქიას ერთგვარ საფუძველს და მასზე ის ეყრდნობა, აი ეს წოდება ჩვენში დღეს არის სავსებით დარღვეული და არ წარმოადგენს სოციალურ ძალას—ეს არის თავად ანაჟრობა. მაშასადამე მე ვამბობ, რომ ჩვენში არც ერთ საზოგადოებრივ წილში არავითარი საფუძველი არა აქვს მონარქიულ სელისკვეთებას და მაშასადამე მონარქიულ კონსტიტუციას.

შემდეგ მოდის ბურჟუაზია. თქვენ იცით, რომ ჩვენში მძლავრი ბურჟუაზია არ არის (შენგელაია: ჯერ არ მოსულა?). არ მოსულა ბ. ლეო, და როცა მოვა, არ ვიცო, თქვენ სად იქნებით. და მე ვამბობ, რომ ჩვენში არ არსებობს მძლავრი, შეძლებული ბურჟუაზია. მართალია, არიან ბურჟუაზიის იდეოლოგები, მაგრამ თითორი კლასი არ არსებობს, არ აქვს ამ კლასის ისეთი სოციალური ძალა, რომ თავისი ელფ რი დასავს სახელმწიფოს კონსტიტუციაზე. ჩვენი საზოგადოება შესდგება სამი კლასისაგან, რომელთაც აქვთ ჩვენში ნიშნეულობა. ერთი არის მრავალრიცხოვანი წვირილი გლეხობა. 90 პროცენტი ამ გლეხობისა იძულებულია თავის საჩინვად მიმართოს სხვის მიწას, ან სხვა რაიმე საშუალოს გარდა მეურნეობისა (კეღია: თქვენის წყალობით, ბნო იმათ აქვთ საკუთარი მიწა). სამწუხაროდ, ბ. სპირიდონ, ჩვენში იმდენი მიწა არ აღმოჩნდა, რომ მიწებისა-



რეგისტრის შემდეგ გლეხებს საკმაო მიწა უკონ-

სად და მე მგონია, რომ ამდენი მიწა

ვიღებოდა სხვანაირი გლეხი, მსგავსად გერ-

მანისა, მაგრამ მათი იმედები გაცრუდა

კეთილია ეს აღრე უნდა გეტყვათ ბატონო!

მე ვამოწმებ, რომ საქართველოში საკმარისი

მიწა არ იყო და მიწას ჩვენ ვერ შეგვქმნილით.

შემდეგ ჩვენში არის ქალაქის მრავალრიც-

ხვანი წვრილი ბურჟუაზია; წვრილი ვაჭრები

ბელორუსები, მოხელეები, ე. ი. ისეთი ხალხი,

რომელიც ცხოვრობს ქალაქში წვრილი შემო-

სახლით და ვერ გახდარა ბურჟუაზიის წევ-

რით. ამის შემდეგ ჩვენში არის მრავალრიც-

ხოვანი ამასთანავე შეკავშირებული და შეგ-

ნობელ ითქვა მარქსის და სხვა მარქსისტე-

ბის მიერ, რომ პოლიტიკური წყაობილება

არის ანგებელი ეკონომიურ წყაობილებაზე.

პოლიტიკა ეკონომიკის ზედსწეობა; ეს იმას

არ ნიშნავს, რომ პოლიტიკურ ვითარებას არ

შეეძლოს ამ საფუძველზე გავლენის მოხდენა

არ შეეძლოს დაჩქაროს პროცესი. აქედან

მწიფობი ფედერაციული სახელმწიფოები

არის, ჩვენ კი ვქმნით არა ფედერაციულ,

არამედ უნიტარულ დემოკრატიულ რესპუბ-

ლიკას უნიტარული დემოკრატიული რესპუბ-

ლიკა კი ვერ ვგეგმობთ ქვეყანაზე არ არსე-

ბობს. ცდა კი იყო ასეთი სახელმწიფოს შექმ-

ნისათვის, საფრანგეთში რევოლუციის ხანა-



# გ ა თ რ ე ი

მომხმარებელთა საზოგადოების „ცენტრო-კავშირი“ თხოვნით მიმართა ქალაქის თვითმართველობას, რათა განთავსდებოდა იქნას „ცენტრო-კავშირის“ შენობაში კანტინის მოსახსნაზე მერ უკანონო დაკავებული სამი ოთახი.

ასეთივე შუამდგომლობით მიმართა თვითმართველობას ა. ს. ს. ფ., რათა გადაეცემა მათ სრულ განკარგულებაში პოზნაქოვის შენობები, მდებარე ვლადიკავკაის ქუჩაზე.

— მთავრობის საგანგებო რწმუნებულმა განიხილა რა აღმინისტრაციული წესითა და პატიმრებული ეფენდი ბუხაროლი, ხეშებრა ბევი და იოსებ ლაზოლი. დაადგინა რათა ყველანი განთავსდებოდნენ იქნან.

— ბათუმის სადგურის უფროსის წინადადება მიეცა მიიღოს ზომები, რათა აკრძალულ იქნეს ქალაქის რკინის გზის ხაზზე საინტენ-დანტო საქონლის დაკავება.

— ბათუმის შტაბი გვთხოვს გამოავსებოდნენ, რომ სახალხო გვარდიის ჯერ კიდევ არ ჰქონია ბედნიერება სამშობლოს დასაცავად ფრონტზე წასვლისა.

— 3 ნოემბერს, შესდგა ფრონტის დამზარე ბათუმის კომიტეტის სხდომა, რომელსაც დაესწრო 14 კაცი. თავმჯდომარეობდა აშოთ ოს. მლიონცი.

წაკითხულ და მიღებულ იქნა შეუსწორებელი წინადადება კრების ოქმი.

— შაბათს, ნოემბრის 27, მთავრობის საგანგებო რწმუნებულის გრ. ტ. გიორგაძის თავმჯდომარეობით შესდგა ბათუმის საოლქო საბჭოს სხდომა მისი შვიდი წევრის თანადასწრებით. სხდომაზე დადგინდა იქნა საგანგებო რწმუნებულის საშუალებით აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა გეგმას კრედიტი 1) 150 მილიონი გზატკეცილების შესაკეთებლად და ხიდების გასაკეთებლად. 2) 2<sup>1/2</sup> მილიონი მან. სიბიუ-ჯეტო წლის ბოლომდე (1 ივნისამდე) სიერობო გზების შესანახად.

ოლქის ინჟინერს და გზატკეცილების სამმართველოს უფროსს სთხოვეს მიეციონ განსაკუთრებული ყურადღება ახალციხის გზატკეცილს 54 ვერსის მანძილზე, სადაც გზა ხშირად ფუჭდება.

## გზათა დეპარტამენტი

გზათა დეპარტამენტის დირექტორმა ინჟ. კიკინაძემ ტყიბულში ყოფნის დროს გაცნო მალაროების მუშები სათბობ მასალის მომარაგების მდგომარეობას და თან აუხსნა, რომ მალაროების მუშების ენერჯისა და გულმოდინებას დიდი დამზარების გაწევა შეუძლია სათბობი მასალის კრიზისის გასაწყობებლად კვირა და უკვე დღეები მალაროებში მუშაობის განახლებით. გზათა დეპარტამენტის დირექტორის მიერ მალაროების პროდუქციის გასაძლიერებლად გათვალისწინებულს ზომებს სრულის თანაგრძობით შეხედენ, როგორც მალაროების მუშები, ისე პროფესიონალურ კავშირის პრეზიდენტი და მუშათა არტელის წარმომადგენელი, რომელთა თანხმობით მუშებმა ერთხმად დაადგინეს იმუშაონ განუწყვეტლივ დეკემბერში ოცდათერთმეტი დღე და იანვარში ოცდაათი, მუშებმა იკისრეს სასტიკი ზომებით გატარება ცხოვრებაში ამ დადგენილებისა, რასაც შესაძინევი შედეგები მოყვება სათბობი მასალის მომარაგების საქმისთვის. ამასთანავე გზათა დეპარტამენტი საჭიროდ სცნობს აღნიშნულს ის ერთსულრეობა და მდგომარეობის სრული შეგნება, რომელიც გამოიჩინეს მალაროების მუშებმა, პროფესიონალურმა კავშირმა და არტელთა წარმომადგენლებმა რესპუბლიკის საარსებო ინტერესის საქმის მოსაგვარებლად მსხვერპლის მისატანადაც კი. კვირა და უკვე დღეებში მუშაობისათვის მუშებს საშუალოდ შემუშავებულ ნორმების მიხედვით მიეცემა განსაკუთრებული პრემია.

— გზათა დეპარტამენტის დირექტორი ინჟინერი ბ. ა. ჭიჭინაძე გაემგზავრა ტყიბულში და ზუგდიდში მალაროების და ხეთა-ზუგდიდის რკინის გზის სამუშაოთა დასათვალისწინებლად.

— გზათა დეპარტამენტი წარუდგინა მთავრობას ხარჯთაღრიცხვები ბათუმის ნავთსადგურში და ბათუმის გზატკეცილებზე გადაუღებულ სამუშაოთა შესახებ.

— განსაკუთრებულმა საინჟინერო თათბირმა გზათა დეპარტამენტის დირექტორის ინჟინერი ბ. ა. კიკინაძის თავმჯდომარეობით

და საგზატკეცილო საქმის გამოჩენილ მკოდნეთა მონაწილეობით განიხილა და მოიწონა ინჟ. ნ. ლ. გვარამაძის პროექტი გზატკეცილების შეკეთებისათვის ახალი სისტემის შემოღების შესახებ, რომელიც ძალიან ამცირებს სახელმწიფო ხაზინის ხარჯს ამ საქმეზე. — გზათა დეპარტამენტის დირექტორმა გასცა ბრძანება საგანგებო კომისიის დაარსების შესახებ, რომელსაც ევალება სარკინისგზო ტერმინოლოგიის შემუშავება სახელმწიფო ენაზე, კომისიის თავმჯდომარეობს ნ. გვარამაძე.

### გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა ნ ი

დაიკარგა პასპორტი № 16962 აზრად მამედ ალი ოღლის სახელზე, მიღებული ვანჯაში, გაუქმებულად ჩაითვალოს 3961 3-2

დაიკარგა პასპორტი მართა ანტონის ასული ლამოვსკის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს 3962 3-2

დაიკარგა უვადო პასპორტი სილიბისტრო სიმონის ძე სლარაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს 4003 3-2

დაიკარგა პირადობის მოწმობა ალი გული აბასოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან, გაუქმებულად ჩაითვალოს 3941 3-2

დაიკარგა პასპორტი შაბად ბეგრამ ოღლის სახელზე, მიღებული ბორჩალოს მაზრის კომისიისაგან, გაუქმებულად ჩაითვალოს 3953 3-2

დაიკარგა უვადო პასპორტი № 94, ლუკიანე მალონჩის ძე თაბუკაშვილის სახელზე, მიღებული ხარაგულის საზრგდოეტიდან. 1915 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს 3969 3-2

დაიკარგა პასპორტი ალექსანდრე იოსების ძე გერბასმანის სახელზე, მიღებული ბათუმის ქალაქის მილიციიდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს 3970 3-2

დაიკარგა ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული პირადობის მოწმობა სტოლია კობაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს 3960 3-2

დაიკარგა ზუგდიდის სამოქალაქო ოთხკლასიანი სკოლიდან მიღებული სკოლის დამთავრების მოწმობა. ალექსანდრე ივანეს ძე ზომანიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს 3905 3-3

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოსეს ალექსის ძე დაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს 3943 3-2

დაიკარგა პასპორტი ოსმალეთის ქვეშევრდომობის არტობეს ნიკოლოზის ძე შახმურაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს 3958 3-2

დაიკარგა სომხეთში წასვლის ნებართვა ფედა ყაზარის ასული გრიგორიანის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს 3947 3-2

დაიკარგა პასპორტი № 120 იდრისი იუსუფოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს 3984 3-2

დაიკარგა პირადობის მოწმობა ადილ გაჯიევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს 3985 3-2

აქციის სამმართველო აცხადებს, რომ საარაყვე ქვამის პატრონმა ყაზარა რევაზოვმა დაჰკარგა თავის საარყვე აპარატის ვაზომვის ოქმი. გაუქმებულად ჩაითვალოს 3986 3-2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 2530 ლევან გრიგორის ძე შალგოვის (იგივე შალიკოვის სახელზე, მიღებული ტფ. მდებარე მოქალაქეთა სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს 3998 3-2

დაიკარგა პასპორტი № 612 იახია ბახრაშოვის სახელზე, მიღებული შუშის მაზრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს 3997 3-2

დაიკარგა პასპორტი № 2319 მარუა გუკოსიანის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს 4060 3-1

დაიკარგა მატრიკული მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტიდან ნადია ბერულავას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს 4045 3-1

დაიკარგა პასპორტი კონსტანტინე ხვიკილასონის სახელზე, მიღებული სენაკის მილიციის კომისიისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს 4055 3-1

ქ. ტფილისის მე-18 უბნის მომრიგებელი მოსამართლე ივანე გარდაცვალებულ ივანე ეფემეს ძე ბორისოვის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება ივანე ბორისოვის სიკვდილის შემდეგ დაჩენილ ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 3723 1-1

დაიკარგა სალიქციო წიგნაკი № 1840 სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეთვამთიკო საბუნების მეტყველო ფაკულტეტის (ფარგონო-მიულ დარგში) მესამე სემესტრის სტუდენტის დიმიტრი ივანეს ძე ტაბიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს 4054 3-1

ტფილისის უნივერსიტეტის სამიტროპოლიტო სასამართლოში პეტრე ივანეს ძე ერეკლეშვილმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი მეუღლე მარიამ გრიგორის ასული რომელსედაც ჯვარი დაიწერა 1900 წელს უკვალოდ დაიკარგა 1910 წლიდან, ყველა ვინც იცის მარიამ გრიგორის ასულის ერეკლეშვილის მისამართი საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ ქონთა ძალით ვალდებულია სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს შემოსხენე-ბულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღედან ამ განცხადების დაბეჭდვის ორი თვის განმავლობაში. 4051 3-1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 4835, მიღებული ტფ. პოლიც. სამმართველოდან 1909 წ. და სარევისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, ლევან ალ. სარკისიანის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს 4052 3-1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული სპარკეთის საკონსულოდან; 6000 მ. კვიტანცია, მიღებული მუშათა მაგიდიდან; სასახლისათვის ორი ათასი აგურის საფასურის 36.000 მან. ანგარიში; ხელწერილი შუშის მოტანის შესახებ მოცემული კონს. სოლ. მელიქაძისაგან და ექსპედიციის ახალ შენობის მშარობელობაგან მიღებული აგურის საფასურით 63.960 მ. მისაღებად მამედ გუსეინოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს 3966 3-2

დაიკარგა მოწმობა № 19553, ოგანეს კარაპეტის ძე შუკდუსი აკოფოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს 3948 3-2

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად ვალერიანე ლუკას ძე რუბაძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პასპორტი მიცემული ამავე სამმართველოდან და სამსახურის ნუსხა, მიცემული ქუთაისის პირველი პოლიციიდან № 1024, სთხოვს მოვენდოს აღნიშნული საბუთებისა წარმომადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლად კუთვნილებებისაგან. 3978 3-2

პირადის მონდობილობით და თანახმად 59 მუხ. საქვეყნო წესდებისა

რომლის დამარცხებულნი არიან: იოსებ ვსილის ძე და ბასიკო ნინიას ძე გოგოლაშვილები, სიმონ სიმონის ძე აბაშიძე, ილია ალექსანდრეს ძე მიჩიანაშვილი და ზაქარია ალექსანდრეს ძე ნიკოლაშვილი. ხელშეკრულების მე-7 მუხლის თანახმად ყოველივე საქმის, მამულების და ფულგების წარმოება ექუთუნის გამგეობას, რომელიც შესდგება სამი პირისაგან თავმჯდომარე და ორი წევრისაგან, არჩეული საზოგადო კრების დადგენილებით. ტფილისის ნოტარიუსი მაკეჯარიაძე. 1-1

ქაუჭურის უბნის მომრიგებელი მოსამართლე თანახმად 1401 მუხ. სამ საქ. წარმ. წესდ., ივანეს მემკვიდრეებს გარდაცვალებულების ლაზარე ნიკოს ძე, სერგო და ანასტასიას შვილების მემკვიდრეების და-ნაშთ ქონებაზე, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლებები მე-1241 მუხ. იმავე წესდების მე X, ნაწ. I აღნიშნულ ვადაში. 3750 1-1

ბათუმის უბნის სამოქალაქო განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე ივანეს გარდაცვალებულის კარაპეტ გრიგორის ძე მეგავოსიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ უფლებები ვათვალისწინებულნი 1239 მე-X ტ. 1 ნაწ. კან. კრებ. გარდაცვალებულის კარაპეტ გრიგორის ძე მეგავოსიანცის ქონებაზე. 3751 1-1

სამეგრელოს ოლქის, სენაკის უბნის მომრიგებელი მოსამართლე ივანეს მცხოვრები ქალაქ ახალსენაკში გარდაცვალებული თედორე გვატის ძე კუპრეიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება კუპრეიშვილის ქონებაზე, სამოქალაქო კანონის კრებულის მე-X ტ. I ნაწ. 1241 მუხლის აღნიშნულ ვადაში. 3753 1-1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 48 არტემ ნიკიტის ძე სიმონიანცის სახელზე, მიღებული სიღნაღის ქალაქის თვითმართველობიდან, გაუქმებულად ჩაითვალოს 4044 3-1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 111 ნიკოლოზ ჯანელიძის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს 4049 3-1

დაიკარგა სამიწისმომლო კურსების დამთავრების მოწმობა № 2274 ევსტრატე პავლეს ძე რუხაძის სახელზე, მიღებული ბაქოს ტექნიკურ სასწავლებლიდან 1915 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს 4058 3-1

დაიკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ტამბოვის სახაზინო პალატრიდან და მოწმობა, მიღებული ბაოკოვის უნივერსიტეტიდან—ნიკოლოზ პეტრეს ძე სმირნოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს 4056 3-1

დაიკარგა პასპორტი № 14756 ევდოკია მონკოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს 4058 3-1

დაიკარგა ფორმულიარული სია № 184 გრიგოლ აბელის ძე კორგანოვის სახელზე, მიღებული კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველოდან 1917 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს 4059 3-1

ქ. ტფილისის მე-18 უბნის მომრიგებელი მოსამართლე ივანეს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ ივანე თედორეს ძე ბალანდინის სიკვდილის შემდეგ დაჩენილ ქონებაზე სამ. კან. კრებ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 3722 1-1

დაიკარგა დუბლიკატი 2 შეკრა მანუფაქტურის ბათუმის საბაჟოდან მიღების შესახებ რუბენ ვართანოვის სახელზე, საქონელი გამოგზავნილია სტამბოლიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს 4061 3-1